გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-63. 63231564**
თარიღი:**05/06/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშში მდებარე შენობა-ნაგებობისთვის, რომელშიც განთავსებულია სამედიცინო ამბულატორია (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.52.334), რევაზ სალაყაიას სახელის მინიჭების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,პ''-ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 6 ივნისის №19 დადგენილების შესაბამისად, განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშში მდებარე შენობა-ნაგებობისთვის, რომელშიც განთავსებულია სამედიცინო ამბულატორია (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.52.334), რევაზ სალაყაიას სახელის მინიჭების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშში მდებარე შენობა-ნაგებობას, რომელშიც განთავსებულია სამედიცინო ამბულატორია (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.52.334), მიენიჭოს რევაზ სალაყაიას სახელი.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი